საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1 8 თებერვალი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №33

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ოზურგეთის დასუფთავების სამსახური“-სა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „კომუნალური მომსახურების ცენტრი“-ს მიმართ რეორგანიზაციის პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით შექმნილ დროებითი სამუშაო ჯგუფში ექსპერტ-კონსულტანტის მოწვევის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 29-ე მუხლის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუქტის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ოზურგეთის დასუფთავების სამსახური“-სა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „კომუნალური მომსახურების ცენტრი“-ს მიმართ რეორგანიზაციის პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 იანვრის №4 განკარგულების მე-3 პუნქტის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ოზურგეთის დასუფთავების სამსახური“-სა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „კომუნალური მომსახურების ცენტრი“-ს მიმართ რეორგანიზაციის პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით შექმნილ დროებითი სამუშაო ჯგუფში, მატერიალურ-ტექნიკური და სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელების მიზნით მოწვეულ იქნეს ექსპერტ-კონსულტანტი ლადო მანთიძე.

2. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ალეკო მამეშვილი**

Created by free version of DocuFreezer

შრომითი ხელშეკრულება

ქ. ოზურგეთი 8 თებერვალი 2013 წელი

ერთის მხრივ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს თავმჯდომარის ბატონ ალეკო მამეშვილის სახით (შემდგომში „დამქირავებელი“) და მეორეს მხრივ ლადო მანთიძე (პირადი №33001011890) შემდგომში „დაქირავებული“ ვდებთ შრომით ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი1. ხელშეკრულების საგანი

„დამქირავებელი“ (მუნიციპალიტეტის საკრებულო) დებს შრომით ხელშეკრულებას ლადო მანთიძესთან, რათა იგი მოწვეულ იქნას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ოზურგეთის დასუფთავების სამსახური“-სა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „კომუნალური მომსახურების ცენტრი“-ს მიმართ რეორგანიზაციის პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით შექმნილ დროებითი სამუშაო ჯგუფში, მატერიალურ-ტექნიკური და სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, 2013 წლის 8 თებერვლიდან.

მუხლი 2. მხარეთა ვალდებულება და პასუხისმგებლობა

2.1. „დამქირავებელი“ ვალდებულია დაასაქმოს „დაქირავებული“ იმ სამუშაოთი, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით.

2.2. შეუქმნას „დაქირავებულს“ სათანადო პირობები და უზრუნველყოს მისი ტექნიკური უსაფრთხოება.

2.3. „დამქირავებელს“ უფლება აქვს მოსთხოვოს „დაქირავებულს“ შინაგანაწესისა და შრომის დისციპლინის დაცვა.

2.4. „დაქირავებული“ ვალდებულია ხელშეკრულების გასაფორმებლად წარმოადგინოს საქართველოს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საჭირო დოკუმენტაცია.

2.5. „დაქირავებული“ ვალდებულია დროულად გამოცხადდეს სამუშაოზე, შეასრულოს მასზედ დაკისრებული მოვალეობა და დაიცვას შინაგანაწესი.

2.6. „დაქირავებული“ ვალდებულია შეასრულოს ადმინისტრაციის მოთხოვნები და ბრძანებები.

2.7. „დაქირავებულს“ უფლება აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში და პირობებში მოითხოვოს ხელფასის ანაზღაურება.

2.8. ისარგებლობს შესვენებით სამუშაო დღის განმავლობაში. დასვენებითა და უქმე დღეებით, ამასთანავე ისარგებლოს კუთვნილი შვებულებით კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3. ანაზღაურების ოდენობა და ვადები

„დაქირავებულს“ მიეცემა 600 ლარი ხელფასის სახით.

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2013 წლის 8 თებერვლიდან და მოქმედებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ოზურგეთის დასუფთავების სამსახური“-სა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „კომუნალური მომსახურების ცენტრი“-ს მიმართ რეორგანიზაციის პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით შექმნილ დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადით.

4.2. ერთ-ერთი მხარის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დასაშვებია შრომის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.3. ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

4.4. ხელშეკრულება ფორმდება ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

მუხლი 5. დამატებითი პირობები

„დაქირავებულ“ პირს არა აქვს უფლება საჯარო გახადოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული ისეთი კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც ზეგავლენას მოახდენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაზე და იმიჯზე.

მუხლი 6. მხარეთა რეკვიზიტები

„დამქირავებელი“	*„დაქირავებული“*
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, კოსტავას ქუჩა №1,	ქ. ოზურგეთში მცხოვრები ლადო მანთიძე

მუხლი 7. ხელმოწერები

მხარეები ხელშეკრულებას ადასტურებენ ხელმოწერით და შედგენილია ორ ეგზემპლარად თითო ცალი მხარეთათვის.

„დამქირავებელი“	*„დაქირავებული“*
----------	----------
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)
ალეკო მამეშვილი	**ლადო მანთიძე**

Created by free version of DocuFreezer